სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

№1, აპრილი, 2017

Student Journal of Social Sciences

დევნილთა საკითხები, როგორც საზოგადოებრივი ინტერესი. კრიტიკული ხედვა საზოგადოებრივი მაუწყებლის დღის წესრიგის მაგალითზე

ირმა ბოლქვაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: irma.bolqvadze.95@gmail.com

გიორგი დუნდუა

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: giorgi.dundua420@sps.tsu.edu.ge

რეზიუმე

წინამდებარე სტატიის მიზანია, სატელევიზიო ახალი ამბების თვისებრივ კონტენტანალიზზე დაყრდნობით, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პოლიტიკის განხილვა დევნილთა საკითხების გაშუქების ჭრილში.

საზოგადოებრივი მაუწყებლის არჩევა, როგორც საკვლევი წყაროსი, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ იგი წარმოადგენს იმ გამონაკლის მედიაინსტიტუციას, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია საზოგადოებრივი ინტერესის ადვოკატირებაa. მისი, როგორც ადვოკატის ფუნქცია ერთიორად იზრდება, როცა საქმე ეხება სხვადასხვა ნიშნით მოწყვლად სოციალურ ჯგუფებს. ჩვენს ამგვარ სოციალურ ჯგუფად წარმოდგენილნი არიან დევნილები, ადამიანები, რომლებმაც განსაზღვრული კონფლიქტური თუ ფორსმაჟორული სიტუაციების შედეგად დაკარგეს საცხოვრებელი, საკუთრება, ოჯახის წევრები, ნათესავები და სრულიად უცხო გარემოში აგრძელებენ ცხოვრებას; გარემოში, რომელთან ადაპტაცია ობიექტურად რთული და მრავალსაფეხურიანი პროცესია.

სტატიის მიგნებები კი პასუხს სცემს შეკითხვებს: (1) რამდენად აცნობიერებს საზოგადოებრივი მაუწყებელი მასზე დაკისრებულ ფუნქციას - დროულად, სრულად და ზუსტად მიაწოდოს ინფორმაცია დევნილ მოქალაქეებს მათთვის განკუთვნილი სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შესახებ; (2) რამდენად ხშირია და (3) რა დისკურსული თავისებურებებით ხასიათდება საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო პროგრამის, „მოამბის“ ის სიუჟეტები, რომლებიც დევნილებს (როგორც ინკლუზიურ სოციალურ ჯგუფს) და მათთან დაკავშირებულ პრობლემებს წარმოაჩენს.

შესავალი

მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან ვიდრე 2008 წლის აგვისტომდე საქართველოს სახელმწიფომ და ქართულმა საზოგადოებამ რამდენჯერმე გამოსცადა დევნილთა მრავალრიცხოვანი ნაკადების წარმოქმნა და ის სოციალური, კულტურული თუ პოლიტიკური სირთულეები, რომლებიც თან სდევს დევნილთა ადაპტაციას ახალ საცხოვრებელ გარემოში. შიდა სამოქალაქო დაპირისპირებამ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო გამოყოფამ საქართველოს სახელმწიფოდან, ეთნიკური ქართველების დევნამ ე.წ. „განდგომილი რეგიონების ტერიტორიაზე“, 2008 წლის აგვისტოს ომმა შექმნა სახელმწიფო, რომლის მოსახლეობის დაახლოებით 6 პროცენტი დევნილია.

ამ საკითხში, სოციალური რეალობისა და სტატისტიკის მიღმა და მის გარდა, არსებობს კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი კულტურული განზომილება - მედიაცენტრული განზომილება, რაც გამოიხატება დევნილთა რეპრეზენტაციაში მედიის მეშვეობით: რა შენიშნა მედიამ დევნილთა ცხოვრებაში, მათ ყოფაში,

დევნილებისადმი მიმართულ სახელმწიფო პოლიტიკაში? რატომ შენიშნა და რა გახადა რეფლექსიისა და აღნიშვნის ღირსი?

ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის თეორიაში ცნობილია, რომ მასობრივი ხასიათის, მკაცრი პერიოდულობის კულტურული პროდუქცია და მისი დისკურსი არ არის დაცული განსაზღვრული კლიშირებული მიდგომების ჩამოყალიბებისგან. 1990-იანი წლებიდან დღემდე, დევნილთა რეპრეზენტაციის კლიშეები რამდენჯერმე შეიცვალა დომინანტური დისკურსის გავლენით. როგორც აღნიშნავს ქართველი მკვლევარი მაია გოგოლაძე (Pax Georgiana: 2015), "დევნილთა საკითხი, როგორც თემა, არის მედიასისტემის კუთვნილება, ხოლო როგორც მოვლენა, როგორც პრაქტიკული რეალობა - პოლიტიკური სისტემის კუთვნილება. იმაზე, თუ როგორ მოხდება ამ რეალობის თემად და კომუნიკაციის საგნად ტრანსფორმირება, დამოკიდებულია ბევრი რამ, უპირველესად კი ის, როგორ იქნება განხორციელებული საზოგადოების უფლება, მიიღოს ზუსტი ინფორმაცია, რეალობის სრული სურათი, მასში ორიენტირების, დასკვნების გამოტანის, ხედვის ჩამოყალიბების, უკუკავშირის განხორციელების საშუალება" (გვ. 83). მკვლევრები და პრაქტიკოსი ჟურნალისტები, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში (დევნილების პირველივე ნაკადის წარმოქმნიდან დღემდე) აკვირდებოდნენ და შეისწავლიდნენ დევნილთა რეპრეზენტაციის მედიურ დისკურსს, გამოყოფენ რამდენიმე კლიშირებულ, სტერეოტიპულ მიდგომას და თითოეული მათგანი უკავშირდება სახლს, როგორც ნიშანს (ამავე ნიშანში შედის უსახლობის, უსახლკარობის, უთავშესაფრობის მნიშვნელობები). ამ მკვლევრების აზრით (მაია გოგოლაძე, ლია ტიკლიკიშვილი), პირველი კლიშე, რომელიც წლების განმავლობაში ტირაჟირდებოდა მედიით, იყო დევნილთა გზა - საკენ-ჭუბერისა თუ სხვა, ხიფათით სავსე გზებით მომავალი დევნილები გადარჩენისკენ თუ გაურკვეველი მომავლისკენ მიიწევდნენ. დევნილთა ამგვარი მედიური ჩვენების ეფექტი (გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად) იყო თანაგრძნობის გამოწვევა მათ მიმართ. ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებიც გაურბოდნენ სიკვდილს, დროებითი სახლებისკენ მოემართებოდნენ, თავისიანებისკენ მოდიოდნენ, რადგან მალე, სახელმწიფოს პოლიტიკის წაყლობით, ისინი უკან დაბრუნდებოდნენ იმ ადგილებში, საიდანაც ომმა გამოაძევა. მეორე კლიშირებული რეპრეზენტაცია შეიქმნა მაშინ, როცა დევნილობის დროებითობა ეჭვქვეშ დადგა. ეს იყო ერთი სტერეოტიპული ვიზუალური კონსტრუქცია: ყოფილი სასტუმროების, პანსიონატების, საავადმყოფოების შენობებში შესახლებული დევნილების ყოფა. ამ ჩარჩოს თითოეული მედიური ტექსტი თითქმის წინააღმდეგობრივ, პოლარულად დაპირისპირებულ ცნებებზე და ემოციებზე აგებულ სურათს ქმნიდა: იწვევდა ერთდრულად აგრესიას (ესთეტიკურად „არადამაკმაყოფილებელი" და „უსიამოვნო" ხედის გამო) და თანაგრძნობას (ვინაიდან ძალიან ხშირ შემთხვევაში იგივე მედიური ტექსტი შეიცავდა სხვა ვიზუალურ ან ვერბალურ მასალას იმის შესახებ, როგორ აყვავებულ ეზო-სახლებში ცხოვრობდნენ ეს ადამიანები დევნილობამდე, როგორ სურთ მათ თავიანთ სახლებში დაბრუნება და თავადაც როგორ მოსწყინდათ ამ გაუსაძლის ყოფაში ცხოვრება). მესამე კლიშე, მედიური ექსპლუატაციის თვალსაზრისით, ყველაზე ხანდაზმული და მყარია. ეს არის წლიდან

წლამდე, ერთი წყაროდან მეორეში გადასული მუდმივი სურათი: დევნილთა გამოსახლება, როგორც წესი, ხმაურით, პოლიციის ჩარევით, ქაოსით, სასოწარკვეთით და სხვ.

მიგვაჩნია, სწორედ ამ მყარი კლიშეების არსებობა ადუნებს ჟურნალისტების ყურადღებას, არ აიძულებს მათ, მოძებნონ ახალი დისკურსი დევნილებისა და მათი ცხოვრების საჩვენებლად, ეჭვქვეშ დააყენონ მითურ-სტერეოტიპული ხედვა, დაფიქრდნენ იმაზე, რამდენად უშლის ხელს დევნილთა ამგვარი ჩვენება მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში, რამდენად ლახავს ერთი შეხედვით უწყინარი მითი დევნილთა უფლებებს.

როდესაც ჩვენ საკვლევ საკითხად გავიხადეთ ამ კლიშეს სიცოცხლისუნარიანობის კვლევა სატელევიზიო მედიაში, კვლევის პროცესში მივყევით ამ ლოგიკურ ჯაჭვს: როდის ინტერესდება მედია იძულებით გადაადგილებული პირების პრობლემებით, როდის ხდებიან მედიისთვის დევნილები მნიშვნელოვანი, რას ატყობინებს მედია მთელ საზოგადოებას დევნილთა მიმდინარე მდგომარეობის შესახებ? ინფორმაციის რომელი ალტერნატიული წყაროები გვაწვდიან განსხვავებულ შეტყობინებებს და არსებობს თუ არა გადაკვეთის წერტილი ან წერტილები ინფორმაციის ამ ალტერნატიულ წყაროსა და მედიას შორის?

ცხადია, ჩვენ გვესმის, რომ ნებისმიერი მედირებული, ანუ გაშუალებული ინფორმაცია, არ წარმოადგენს ხდომილების ზუსტ ასახვას, ან მის ფოტოგრაფიულ სახეს; რომ ნებისმიერი მედირებული შეტყობინების მიღმა, შესაძლოა, იკვეთებოდეს რომელიმე, მედიაველის გარეთ მდგომი ორგანიზაციის ინტერესი. თუმცა, შესაძლებელია დავადგინოთ ამ წყაროების ფარდობითი ობიექტურობა.

ჩვენი კვლევის შემთხვევაში გზამკვლევად, ანუ ხდომილებების შესახებ ინფორმაციის შემცველ წყაროდ გამოვიყენეთ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი, აღვწერეთ და დავითვალეთ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მომხდარი ხდომილებები, რომლებიც ვებგვერდზე შესაბამისი ტექსტური მასალით დასტურდება და შემდეგ, შევეცადეთ ამ ხდომილებების ასახვა მოგვეძებნა საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებების დღის წესრიგში.

ჰიპოთეზა, რომლის ვერიფიკაციასაც ჩვენი კვლევით შევეცდებით, ამგვარად არის ფორმულირებული: *დევნილთა საკითხების გაშუქებისას საზოგადოებრივი მაუწყებელი უფრო მეტად მიჰყვება დამკვიდრებულ კლიშე-სტერეოტიპებს, ვიდრე რეალურ საინფორმაციო საგაგს და რეალურ ხდომილებას.*

კლიშირებული სტერეოტიპები კი გამოიხატება მათ ნეგატიურ კონტექსტში წარმოდგენასა და მათთან დაკავშირებული საკითხების ზერელე გაშუქებაში, რასაც თან სდევს მათი უფლებების დარღვევა.

ორგანიზაცია „ინტერნიუს საქართველოს“ კვლევის შედეგების თანახმად, ტელევიზიები, ძირითადად, დევნილების გამოსახლების პროცესს აშუქებენ და ხშირად იჩენენ მიკერძოებას ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ. ასევე, დევნილების პრობლემებს ხშირად სხვა საკითხებთან კონტექსტში განიხილავენ -

მაგალითად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე საზღვრის გადმოწევა, ახალი სადემარკაციო ხაზის გავლება, ოსეთში ან აფხაზეთში საქართველოს მოქალაქის გატაცება და მსგავსი თემები. კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ამგვარი „პაკეტური“ ტიპის გაშუქების შედეგად ნიველირებულია დევნილთა პრობლემები, რომლებსაც ისინი ყოველდღიურად აწყდებიან, საზოგადოებამ კი მათ შესახებ არაფერი იცის. აუცილებელია მედიამ სიღრმისეულად, საფუძვლიანად გააშუქოს მათთან დაკავშირებული საკითხები დროული რეაგირებისთვის.

„ტელეკომპანიების მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) პრობლემების მიმოხილვა ფრაგმენტული ხასიათისაა და დევნილთა მდგომარეობას ადეკვატურად ვერ ასახავს. სატელევიზიო არხები „იმედი“, „რუსთავი 2“ და “საზოგადოებრივი მაუწყებელი” დევნილთა პრობლემებით საინფორმაციო საბაბის არსებობის შემთხვევაშიც კი იშვიათად ინტერესდებიან“ - ასეთია კიდევ ერთი კვლევის შედეგი, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში არსებული პროექტის - “მედიამონიტორინგის განვითარება საქართველოში” - შედეგად განხორციელდა, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის შედეგად გაკეთდა რამდენიმე მნიშვნელოვანი და ყურადსაღები დასკვნა, მათ შორის დასკვნაც, რომ ტელეკომპანიები დევნილთა პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს წინასწარი განწყობით აშუქებენ და სიუჟეტის თემებსაც ამ განწყობის შესაბამისად ირჩევენ. იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალ საცხოვრებელ ადგილებში განსახლების საკითხის შესახებ ინფორმაცია „კავკასიამ“ და „მაესტრომ“ გაავრცელეს და მათ მთავრობის ქმედებები უმეტესად უარყოფითი ტონალობით გააშუქეს მაშინ, როცა „რუსთავი 2“-მა და „იმედმა“ ასეთ „პრობლემურ“ თემებს საერთოდ გვერდი აუარეს. იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა ეს ორი არხი დევნილებს ახსენებდა, საუბარი შეეხებოდა მთავრობის ძალისხმევასა და დევნილთა პრობლემების მოგვარების მცდელობას.

მედიის მკვლევრები ხშირად მიდიან ერთსა და იმავე დასკვნამდე, რომ ქართულ მედიაში დევნილთა თემისთვის საჭირბოროტო თემების სპექტრი ერთ სტერეოტიპულ ფოკუსამდე, შეიძლება ითქვას, ერთ სტერეოტიპულ კადრამდე დავიდა: გამოსახლების კვაზისენსაციური სცენა, ბევრი ყვირილით, შემზარავი ხმაურით, ქაოტური მოძრაობით, აულაგმავი აგრესიით ან აგრესიული უძლურებით (როგორც წესი, წინასუიციდალური ნიშნებით).

იგივე მკვლევრები მიუთითებენ მედიის მიერ განსაზღვრული პროცესების არაადეკვატურ განზოგადებაზე - მედია ხშირად იმდენად იმყოფება სტერეოტიპების ტყვეობაში, რომ განზოგადებისას ოპერირებს ისეთი ფაქტებით, რომლებსაც ობიექტური საფუძველი არ გააჩნია. ეს გარემოება ხშირად მიანიშნებს საკმაოდ სერიოზულ სიმპტომზე, სპეციფიკური ე.წ. “preferred reading”-ის შექმნაზე, როცა მთავარი „საყვარელი და მაყურებლისთვის ნაცნობი კადრია“ და არა ობიექტური რეალობა. მაგალითად, მედია ცდილობს ამ ადამიანების თვითნებური ჩასახლების პროცესი განაზოგადოს მთლიან პოპულაციაზე. აგრეთვე, წარმოაჩინოს მხოლოდ იმ დევნილთა მდგომარეობა, რომლებიც საქართველოში მძიმე სოციალურ და

ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობენ. როგორც წესი, მედია არასდროს ინტერესდება იმ დევნილთა მდგომარეობით, რომლებიც ახალ საცხოვრებელ გარემოში კარგად ადაპტირდნენ. ბრანტისა და ოლივერის მიხედვით, მედიაში სტერეოტიპების დადებითი ან უარყოფითი ასახვა უდავოდ იწვევს სოციალურ ეფექტს (Bryant and Oliver, 2009, გვ. 336) (გერსამია მ., 2016). მედიური ეფექტების როლი მრავალი თეორიის ჭრილშია განხილული. მათ შორისაა სოციალური კოგნიტური თეორია, რომლის მიხედვითაც სწავლა და განვითარება ეფუძნება არა მხოლოდ პირადი გამოცდილების შეძენის პროცესს, არამედ, უმეტესად, სხვა ადამიანთა ქცევაზე დაკვირვებასა და მოდელირებას. სწავლა დაკვირვების საშუალებით ნიშნავს სხვა ადამიანზე დაკვირვების შედეგად ქცევის რთული ნიმუშების ათვისების უნარს. შესაბამისად, მაყურებელი სწავლობს მედიით გაშუქებულ ქცევას.

როცა ჩვენ სახელმძღვანელო წესად ჰიპოთეტურად განვიხილავთ მსოფლიო პრაქტიკაში არსებულ მიდგომებს დევნილთა საკითხების გაშუქების მხრივ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: რას შეეხებიან ეს წესები - შიდა მიგრანტებს თუ გარე მიგრანტებს? საკუთარ სახელმწიფოშო დევნილებად ქცეულ მოქალაქეებს თუ სხვა ქვეყნიდან შემოსულ მიგრანტებს, რომლებმაც თავიანთი სახელმწიფო დატოვეს და სხვა ქვეყნებს შეაფარეს თავი (ლეგალურად თუ არალეგალურად) უსაფრთხოების საძებნელად. ცხადია, რომ ლოიალობის ხარისხი სხვადასხვა ტიპის მიგრანტების მიმართ აბსოლუტურად განსხვავებულია, ისინი სხვადასხვა ხარისხით არიან „უცხონი“ ან „უადგილონი“. თუმცა ფორმალური ლოგიკის დონეზე, შესაძლოა, მაინც ვისაუბროთ საერთო მინიმალურ სტანდარტებზე. მაგალითად, ავსტრალიის ადამიანის უფლებების კომისიის მიერ 2013 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი მოიცავს იმ მინიმალურ სტანდარტებს, რომლებიც ჟურნალისტებს მართებთ დევნილების საკითხების გაშუქებისას, მათგან აღსანიშნავია:

1. ჰუმანური მოქცევა და ადამიანის ღირსების პატივისცემა;
2. ლოიალური და ობიექტური ენა;
3. დევნილთა უფლებების დაცვის წახალისება;
4. დევნილის, როგორც რესპონდენტის დაცვა, უსაფრთხოება;
5. დევნილთა მიმართ ბულინგის, სუიციდის და სხვა თემების სიფრთხილით გაშუქება.

დევნილთა დაცვა ბევრ ქვეყანაში მოიცავს მათ დაცვას მედიის მისრეპრეზენტაციისაგან. (ICAR, 2015). ამ და სხვა რეკომენდაციების გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სწორად გავიაზროთ, ერთი მხრივ, მედიის მნიშვნელობა დევნილთა საკითხების გაშუქებაში და მეორე მხრივ, ის პრობლემები, რომლებიც გაშუქებისას გვხვდება.

ICAR-ის პუბლიკაცია გვთავაზობს ძირითად აქცენტებს, რომლებზეც უნდა გაამახვილონ ყურადღება ჟურნალისტებმა დევნილთა საკითხების გაშუქებისას:

1. ინფორმაციულობა;
2. შესაბამისი შინაარსის საკითხის შერჩევა;
3. კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ყველა ასპექტისა და შეხედულების წარმოჩენა;
4. თითოეული მხარის თანაბარი რეპრეზენტაცია;
5. უსაფუძვლო აზრებისა და შეხედულებების განზოგადებისგან თავის არიდება.

მეთოდოლოგია

საკვლევი პოპულაცია: საზოგადოებრივი მაუწყებელი, საინფორმაციო პროგრამა „მოამბე"; 10 სიუჟეტი

დროითი ჩარჩოები: 2016 წლის 1 სექტემბრიდან 31 ოქტომბრამდე;

შერჩევის ტიპი: მიჯრითი შერჩევა.

საკვლევი ტექნიკა: კვლევის მიზნის მისაღწევად კვლევისას გამოვიყენეთ თვისებრივი კონტენტანალიზი, რათა შეგვესწავლა დევნილთა საკითხების გაშუქების სპეციფიკა, რა დეტალებსა თუ ფაქტებზე ამახვილებენ ძირითადად ჟურნალისტები ყურადღებას და რამდენად თავსდება იგი ჩვენ მიერ გამოყოფილ კლიშეში - დევნილი მუდამ ჭერის დაკარგვის საფრთხის ქვეშ.

ანალიზის ერთეულად აღებულია ნებისმიერი ახალი ამბავი, რომელიც შეეხება დევნილებს. ანალიზის თითოეული ერთეული განთავსდა შემდეგ შინაარსობრივ ჩარჩოებში (კატეგორიებში):

*კატეგორია 1. კოდი „*გამოსახლება" - ახალი ამბები, რომლებიც მხოლოდ უარყოფითი კონტექსტის მქონე ფაქტებზე აპელირებენ (4 სიუჟეტი);

*კატეგორია 2. კოდი „*შესახლება" - ახალი ამბები, რომლებიც მხოლოდ პოზიტიური კონტექსტის მქონე ფაქტებზე აპელირებენ (3 სიუჟეტი). ამ კატეგორიაში შემავალი ანალიზის ერთეულები დაექვემდებარნენ სტატისტიკურ შედარებას სხვა წყაროდან აღებულ ინფორმაციასთან. კერძოდ, ჩვენ მოვიძიეთ ახალი ამბები, ინფორმაციები, რომლებიც დევნილთა განსახლების სამინისტროს ვებგვერდზე იყო განთავსებული, შემდეგ კი ვამოწმებდით, იყო თუ არა გაშუქებული შესაბამისი ინფორმაცია „მოამბეში".

კატეგორია 3. ახალი ამბები, რომლებშიც რეპრეზენტირებულია დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა, როგორც ადამიანის უფლებების ნაწილი (1 სიუჟეტი).

კატეგორია 4. ახალი ამბები, რომლებშიც დევნილებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას, გამოყენებულ იქნა სიძულვილის ენა ან დამაკნინებელ- შეურაცხმყოფელი დისკურსი (2 სიუჟეტი).

ანალიზის მეორე ეტაპზე გამოვიყენეთ მონაცემთა რაოდენობრივი ანალიზი დევნილებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების სიხშირის დასადგენად.

შედეგები

საკვლევ პერიოდში საზოგადოებრივ მაუწყებელზე სულ გავიდა 10 სიუჟეტი. აღნიშული სიუჟეტების ერთი ნაწილი მხოლოდ უარყოფითი კონტექსტის ფაქტებზე აპელირებენ. მათში, ძირითადად, საუბარია ადამიანთა გამოსახლებაზე. მათგან უმეტესობა გამოირჩეოდა თემის ზოგადი გაშუქებით, მაგალითად, ერთერთ სიუჟეტში საუბარია აქციაზე, რომელიც დევნილებმა გამართეს საცხოვრებელი ფართის მოთხოვნის მიზნით. სიუჟეტში საუბარია ფაქტზე, რომლის მიხედვითაც შესაბამის უწყებას აქციაზე გამოსული მოსახლეობისთვის საცხოვრებელი ფართი გასული წლის სექტემბრამდე უნდა გადაეცა, რომელსაც მოყვება უწყების მიერ აღნიშნული ინფორმაციის უარყოფა. სიუჟეტში ასევე ნათქვამია, რომ არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, რომ აღმაშენებლის ხეივანში მდებარე დევნილთა საცხოვრებელს ნგრევის საფრთხე არ ემუქრება. საკვირველია ის ფაქტი, რომ ჟურნალისტი არც კი დაინტერესებულა აღნიშნულის გადამოწმებით. სიუჟეტში კი მინისტრი აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში 10 ობიექტზე მცხოვრები დევნილები მიიღებენ საცხოვრებელს, ჟურნალისტი კი არ ინტერესდება, რომელ კონკრეტულ ობიექტებზე მცხოვრები დევნილები მიიღებენ საცხოვრებელს. სიუჟეტში არ არის პრობლემის წინაისტორია, რამდენი ხანია არსებობს და მწავავედ დგას ეს პრობლემა, რა პერიოდში მოგვარებას გულისხმობს მინისტრის მიერ ნათქვამი სიტყვები: „სამომავლოდ განიხილება „უშბის“ მოსახლეობის დაცლის და კეთილმოწყობილ გარემოში გადაყვანის საკითხი“ (http://1tv.ge/ge/news/view/title/136162.html).

 გასული სიუჟეტების მეორე ნაწილი წარმოადგენს ახალ ამბებს, რომლებიც მხოლოდ პოზიტიური კონტექსტის მქონე ფაქტებზე აპელირებენ. საგულისხმოა მათი ეფექტიც: საკვლევ პერიოდში დევნილთა სამინისტროს ვებგვერდზე სულ 22 დადებითი ხასიათის ნიუსი გაშუქდა: მაგალითად, 14 დევნილ ოჯახს თბილისში ბინა გადაეცა, სოზარ სუბარმა დევნილ და ეკომიგრანტ მოსწავლეებს სპორტული ინვენტარი გადასცა და ასე შემდეგ; საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მათგან მხოლოდ 2 გააშუქა, ამ სიუჟეტებშიც ჟურნალისტები აქცენტს აკეთებენ პოლიტიკაზე და დადებითად წარმოაჩენენ მთავრობის პოლიტიკას, გვიყვებიან სხვადასხვა პოლიტიკოსის შეხვედრებზე მოსახლეობასთან, თუმცა კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება მთავარი საკითხები: კონკრეტულად რას გულისხმობს პოლიტიკოსების დაპირებები (ხშირ შემთხვევაში მათი კომენტარების ფორმულირება შემდეგნაირია: უახლოეს მომავალში გადავჭრით მათ სოციალურ პრობლემებს). რა უჭირს რეალურად მოსახლეობას? მაგალითად, ერთ-ერთ სიუჟეტში, რომელშიც საუბარია პოლიტიკოსების შეხვედრაზე დევნილ მოსახლეობასთან, არ არის მოსახლეობის კომენტარი, შესაბამისად, უცნობია მოსახლეობის რეალური საჭიროებები, ხედვები და ა.შ. (http://1tv.ge/ge/news/view/title/136046.html). თემასთან მიმართებაში შეიმჩნევა საკითხში გაუცნობიერებლობა, რაც ახალი ამბებისა თუ რეპორტაჟის მომზადებისას საკითხის სიღრმისეული შესწავლის ნაცვლად მშრალი, ფაქტობრივი მასალის მოწოდებაში ვლინდება (http://1tv.ge/ge/news/view/title/136402.html).

აღნიშნული თემის დაკავშირება ხდება გარკვეულ პოლიტიკურ თემასთან, პოლიტიკურ ფიგურებთან. მათი განცხადებები იმედისმომცემია, თუმცა არსებული რეალობა - შედარებით მკაცრი, რაც პრობლემის აქტუალურობას არ ცვლის. სიუჟეტებში უმეტესწილად დაპირებებზეა საუბარი, მაგალითად, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბექა ნაცვლიშვილი ისნის რაიონში დევნილ მოსახლეობას შეხვდა, კანდიდატმა მოსახლეობის პრობლემები მოისმინა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა, ის ადგილობრივებს არსებული პრობლემების ეტაპობრივად მოგვარებას დაჰპირდა“ (http://1tv.ge/ge/news/view/title/136402.html). თუმცა ამ კონკრეტული სიუჟეტიდანაც ვერ ვიგებთ, რა კონკრეტულ გეგმებზეა საუბარი. სიუჟეტი ძალიან ზედაპირული და თითქმის არაფრისმთქმელია, ფატიკური დისკურსის ნიმუშია: ჩვენ მისგან მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ პოლიტიკოსი მოსახლეობას შეხვდა, შესაბამისად, ის მხოლოდ კონკრეტული პირისა თუ პოლიტიკური პარტიის პიარს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, მედიას აქვს ეს ფუნქციაც, თუმცა არ შეიძლება ის მთლიანად მოკლებული იყოს საკითხის, პრობლემის ანალიზს. აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში სიუჟეტების ხანგრძლივობა წუთზე ნაკლებია, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს პრობლემას. სიუჟეტებში შეიმჩნევა წყაროთა სიმწირე. განხილულ ჟურნალისტურ ნაწარმოებებში ჩაწერილია ძირითადად 1 ან 2 წყარო. წყაროებს ხშირ შემთხვევაში წარმოადგენენ ადამიანები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან პირადი სარგებლით, პოლიტიკური რეკლამის სახით, რომ ისინი პრიორიტეტულად მიიჩნევენ დევნილთა პრობლემების შესწავლასა და გადაჭრას (http://1tv.ge/ge/news/view/title/136046.html). საკითხის გაშუქებისას გამოყენებულ წყაროებს შორის შესამჩნევია დისბალანსი; დისბალანსი გამოიხატება გენდერული ნიშნითაც, ხშირ შემთხვევაში დევნილების კომენტარებიც კი არ გვხვდება სიუჟეტებში (http://1tv.ge/ge/news/view/title/137356.html). სიუჟეტებში, რომლებშიც ფიგურირებენ თავად დევნილები, ყურადღება გამახვილებულია მათ ემოციურ მდგომარეობაზე, ხშირ შემთხვევაში, ნაჩვენები არიან ის დევნილები, რომლებიც პირდაპირ ეთერში, აფექტურ მდგომარეობაში მყოფნი, ყვირიან და თავიანთ პრობლემებზე უკიდურესი დაძაბულობითა და აღშფოთებით ჰყვებიან (http://1tv.ge/ge/news/view/title/138199.html).

ქართული მედია არაადეკვატური სენსაციონალიზმით აშუქებს დევნილთა საკითხებს, აღსანიშნავია სიუჟეტები, რომლებშიც დევნილებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას, გამოყენებულია დევნილთა შეურაცხმყოფელი დისკურსი. მედია მათ მსხვერპლის როლში წარმოგვიჩენს, რის გამოც მაყურებელი საღად ვერ იაზრებს მათ პრობლემებსა და საჭიროებებს. ხშირად გვიჩვენებენ დევნილებს განსახლების პროცესში, როდესაც ისინი მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებიან, სიუჟეტებშიც მათთვის არასასურველ მდგომარეობაში არიან წარმოჩენილები, რითაც მათი ღირსების უფლება ილახება (http://1tv.ge/ge/news/view/title/138199.html). დევნილთა მსგავსი სახით წარმოჩენა კიდევ უფრო მეტად აღრმავებს მათ მიმართ არსებულ სტერეოტიპებს.

რიგ შემთხვევებში დარღვეულია დევნილ ბავშვთა უფლებები (http://1tv.ge/ge/news/view/title/138199.html), რადგან მიზანშეწონილი არ არის მათი ჩვენება დაძაბულ სიტუაციებში, როცა სამართალდამცავებსა და დევნილებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მიმდინარეობს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი ამბების თვისებრივი განხილვა ადასტურებს ჩვენ მიერ დაყენებულ ჰიპოთეზას.

დასკვნა

კვლევის შედეგებმა გარკვეულწილად პასუხი გასცა არსებულ შეკითხვებს. პირველ რიგში - საზოგადოებრივი მაუწყებელი ვერ აცნობიერებს მისი, როგორც საზოგადოების დამცველის ფუნქციას, როცა საქმე ეხება დევნილებსა და მათ პრობლემებს. საკვლევი პერიოდის განმავლობაში არ გასულა სიუჟეტი, რომელიც დევნილებს მიაწოდებდა ინფორმაციას მათთვის განკუთვნილი პროგრამების შესახებ. მეტიც, მედია ძალიან იშვიათად ინტერესდება დევნილთა საკითხებით, დაინტერესების შემთხვევაში კი სიუჟეტები კლიშირებული დისკურსული თავისებურებებით ხასიათდება, კერძოდ, საზოგადოებრივი მაუწყებელი იყენებს იმ მიდგომებს, რომლებიც წლების განმავლობაში ყალიბდებოდა და იცვლიდა იერსახეს, უფრო კონრეტულად კი, იცვლებოდა კლიშეები და სტერეოტიპული მიდგომები. დღეს დევნილთა რეპრეზენტაციის მედიური დისკურსი მთლიანად კლიშირებულია და მედია არ გვთავაზობს მათი „განსხვავებული“ სახის ჩვენებას, რომელიც სტერეოტიპებისგან იქნებოდა თავისუფალი, რის გამოც ისინი იყვნენ და დღესაც არიან ადამიანები, რომლებიც გაურბიან სიკვდილს, დროებითი სახლებისკენ: ყოფილი სასტუმროების, პანსიონატების, საავადმყოფოებისკენ მიემართებიან დატანჯული სახეებით, რაც მაყურებელს თანაგრძნობისა და შეცოდების გრძნობას უჩენს, პარალელურად კი ისინი არიან „მოძალადეები“, რომლებიც ყვირიან ყოველი გამოსხლებისა თუ შესახლებისას და ფიზიკურად უსწორდებიან პოლიციას. სწორედ ასეთია დევნილთა დღვანდელი მედიური სურათი. თუმცა, აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ დევნილთა სახისა და ხატის კლიშირებული, მითებსა და სტერეოტიპებს დაქვემდებარებული რეპრეზენტაციის სათავე არ არის მხოლოდ მედიაში, ეს ხედვა სოციოცენტრულიც არის. დევნილებთან დაკავშირებული კლიშეები თუ სტერეოტიპები მასშტაბურია და ყოველდღიურად კიდევ უფრო იზრდება, რადგან ჩვენთვის უცხოა მათი „სხვაგვარი“ აღქმა.

დეზინტეგრაციული პროცესების თავიდან ასაცილებლად მედიისთვის აუცილებელია: ახალი დისკურსის მოძებნა დევნილებისა თუ მათი ცხოვრების საჩვენებლად; არსებული მითურ-სტერეოტიპული ხედვის ეჭვქვეშ დაყენება, რაც დააფიქრებს მოსახლეობას და შეცვლის მათდამი დამოკიდებულებებს; საზოგადოება მათში დაინახავს თანამოქალაქეებს, თანასწორებს სამოქალაქო უფლებების თვალსაზრისით, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, და არა ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ შეგვეცოდებიან ან აგრესიას გამოიწვევენ

უკონტროლო საქციელის გამო. შესაბამისად, შეიცვლება ქცევა, რაც ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში.

ხელმძღვანელი: დალი ოსეფაშვილი, პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი

ბიბლიოგრაფია:

1. Brosius, H. B., &Eps, P. 1995. Prototyping through key events: News selection inthe case of violence against aliens and asylum seekers in Germany.
2. Cohen, S. 2003. No one is illegal: Asylum and immigration control past and present.
3. Greenslade, Roy , 2015. Where media fails on the reporting of migrants and refugees
4. Hallin, D. C. & Mancini, P. 2004. Comparing media systems: Three models of media and politics ICAR. 2004. Media image, community impact. London: Information Centre aboutAsylum and Refugees
5. Moore, K. 2013. "Asylum shopping" in the neoliberal social imaginary. Media,Culture & Society , Nando , 2014. The Media and Representations of Refugee
6. Triandafyllidou, A. 2012.Migrants and the media in the twenty-firstcentury.
7. Tuchman, G. 1978. Making news: a study in the construction of reality.
8. ხათუნა მაისაშვილი, მაია გოგოლაძე, ლია ტოკლიკიშვილი. 2015. Pax Georgiana. გამომცემლობა „შემოქმედი ანგელოზი“. თბილისი.

ინტერნეტ რესურსები :

1. http://www.media.ge/ge/portal/articles/302116/
2. http://icar.livingrefugeearchive.org/Asylum_Seekers_and_Media_Briefing_ICAR.pdf
3. http://qartia.org.ge/
4. http://www.media.ge/ge/portal/news/46735/
5. http://www.mra.gov.ge/
6. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16818